ტვირთები	62,663	(40,188)	22,475	(2,799)	19,676
სამოგზაურო დაზღვევა	790,571	-	790,571	(12,897)	777,674
დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან	298,925	-	298,925	(71)	298,854
	19,468,238	(1,025,732)	18,442,506	(646,772)	17,795,734

*სს „პსკ დაზღვევა“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს. სავალდებულო დაზღვევით მოზიდულ პოლისებზე მოზიდული და გამომუშავებული სადაზღვევო პრემია საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 2,261,523 და 2,238,008 ლარს, შესაბამისად. სავალდებულო დაზღვევით მოზიდულ პოლისებზე მოზიდული და გამომუშავებული სადაზღვევო პრემია საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,859,142 და 1,733,002 ლარს, შესაბამისად.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
გადავადებას დაქვემდებარებული საკომისიო შემოსავალი	431,887	256,433
გადავადებული საკომისიო შემოსავალი (შენიშვნა 20)	(130,983)	(95,328)
ამორტიზაცია (შენიშვნა 20)	95,328	26,700
	396,232	187,805

7. წმინდა სადაზღვევო ზარალები

წმინდა სადაზღვევო ზარალები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
დარეგულირებული ზარალები	(14,962,941)	(16,878,211)
ცვლილება ზარალების რეზერვებში	431,503	2,236,671
რეგრესები	106,601	82,176
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	(14,424,837)	(14,559,364)
გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალებში	1,055,295	395,957
ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადამზღვევლის წილი	287,468	155,484
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალებში და ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებების ცვლილებაში	1,342,763	551,441
წმინდა სადაზღვევო ზარალები	(13,082,074)	(14,007,923)

8. მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,489,794)	(2,650,069)
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის საოპერაციო ხარჯები	(267,597)	(195,607)
მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი თანხები	(184,048)	(185,264)
პროფესიული მომსახურება	(217,196)	(245,534)
ცვეთა და ამორტიზაცია	(202,192)	(51,883)
რეკლამა	(125,383)	(75,630)
იჯარა	(79,339)	(187,231)
ოფისის ხარჯი	(69,082)	(89,435)
კომუნიკაციის ხარჯი	(48,287)	(43,530)
საწვავი	(34,456)	(32,135)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(32,295)	(31,299)
საბანკო ხარჯი	(18,194)	(22,308)
სხვა ხარჯი	(116,050)	(108,453)
	(3,883,913)	(3,918,378)

*2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 9,475 და 11,657 ლარს, შესაბამისად.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. გაუფასურების ხარჯი

მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ზრდა	(183,180)	(430,713)
უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა	-	(59,207)
	(183,180)	(489,920)

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	მოთხოვნები რეგრესებიდან	სხვა აქტივები	სულ
1 იანვარი	(570,703)	(1,047,179)	(111,877)	(1,729,759)
რეზერვის ცვლილება	71,150	(36,360)	(217,970)	(183,180)
31 დეკემბერი	(499,553)	(1,083,539)	(329,847)	(1,912,939)

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	მოთხოვნები რეგრესებიდან	სხვა აქტივები	სულ
1 იანვარი	(342,285)	(956,761)	-	(1,299,046)
რეზერვის ცვლილება	(228,418)	(90,418)	(111,877)	(430,713)
31 დეკემბერი	(570,703)	(1,047,179)	(111,877)	(1,729,759)

10. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა

საპროცენტო შემოსავალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ფინანსური შემოსავალი		
საბანკო დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	812,039	683,816
ფინანსური ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(84,968)	-
	727,071	683,816

11. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	38,933	19,986
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	291,104	135,959
	330,037	155,945

სს „პსკ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

12. დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
წინა პერიოდში აღიარებული გადავადებული აქტივის ჩამოწერა	(157,077)	-
დროებითი სხვაობის ეფექტი	129,554	257,691
	(27,523)	257,691

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე*	475,814	201,881
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	(71,372)	(30,282)
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	63,686	63,686
აუღიარებელი გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	-	194,857
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(19,837)	29,430
მოგების გადასახადის ხარჯი	(27,523)	257,691

*წარმოდგენს სს „პსკ დაზღვევის“ დაბეგვრამდე მოგების მაჩვენებელს, რადგან მისი შვილობილი საწარმო ფუნქციონირებს მოგების გადასახადის ახალი მოდელის ფარგლებში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის (არაფინანსური სექტორი) აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
1 იანვარი	257,691	-
მოგების გადასახადის (ხარჯი), სარგებელი	(27,523)	257,691
31 დეკემბერი	230,168	257,691

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით არის შემდეგი:

	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	ადრიცხული მოგება/ზარალი
ძირითადი საშუალებები	-	(22,955)	(22,955)	4,101
აქტივების გამოყენების უფლება	-	(95,781)	(95,781)	(95,781)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	105,999	-	105,999	(136,683)
სხვა მიმდინარე აქტივები	49,477	-	49,477	32,695
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	(34,852)	(34,852)	3,551
საიჯარო ვალდებულებები	103,113	-	103,113	103,113
სხვა ვალდებულებები	(2,205)	-	(2,205)	(2,205)
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	127,372	-	127,372	63,686
საგადასახადო აქტივი	383,756	(153,588)	230,168	(27,523)
გადახურვა	(153,588)	153,588	-	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	230,168	-	230,168	(27,523)

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. დაზღვევა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით არის შემდეგი:

	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	აღრიცხული მოგება/ზარალი
ძირითადი საშუალებები	-	(27,056)	(27,056)	(27,056)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	242,682	-	242,682	242,682
სხვა მიმდინარე აქტივები	16,782	-	16,782	16,782
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	(38,403)	(38,403)	(38,403)
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	63,686	-	63,686	63,686
საგადასახადო აქტივი	323,150	(65,459)	257,691	257,691
გადახურვა	(65,459)	65,459	-	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	257,691	-	257,691	257,691

13. იჯარები

ჯგუფი ქირაობს საოფისე ფართს ქ. თბილისში. საოფისე ფართის იჯარა არის ფიქსირებული, იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია ლარში. იჯარის ვადა შეფასებულია 6 წლით.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 იანვარი 2019

ამორტიზაცია

31 დეკემბერი 2019

შენიშვნები

764,153

(125,614)

638,539

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 იანვარი 2019

საპროცენტო ხარჯი

გადახდა

31 დეკემბერი 2019

შენიშვნები

808,253

84,968

(205,800)

687,421

ფასს 16 მიღებულ იქნა 2019 წლის 1 იანვარს, შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე. გარდამავალი თარიღისთვის (2019 წლის 1 იანვარი) განსაზღვრული მოთხოვნები ახსნილია განმატებით შენიშვნაში - 25. 26-ე განმარტებით შენიშვნაშია მოცემული ის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც იჯარებთან მიმართებაში გამოიყენებს ჯგუფი 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებში.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

14. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	7,998,855	5,183,035
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	4,225,228	4,686,125
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	292,469	263,075
	12,516,552	10,132,235
გადაზღვევის აქტივები		
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	563,040	381,312
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	419,275	131,807
გადამზღვევლის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	23,677	23,677
	1,005,992	536,796
გადამზღვევლის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	7,435,815	4,801,723
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	3,805,953	4,554,318
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	268,792	239,398
	11,510,560	9,595,439

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

	2019	2018
გამოუმუშავებელი პრემიის მთლიანი რეზერვი		
ნაშთი 1 იანვრისთვის	5,183,035	4,261,751
მოზიდული პრემია	21,200,045	19,468,238
მთლიანი გამოუმუშავებული პრემია	(18,384,225)	(18,546,954)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	7,998,855	5,183,035
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		
ნაშთი 1 იანვრისთვის	381,312	106,800
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	1,949,892	1,025,732
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვევლის წილი	(1,768,164)	(751,220)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	563,040	381,312
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, წმინდა		
ნაშთი 1 იანვრისთვის	4,801,723	4,154,951
მოზიდული პრემია, წმინდა	19,250,153	18,442,506
წმინდა გამომუშავებული პრემია	(16,616,061)	(17,795,734)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	7,435,815	4,801,723

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

14. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

ბ) ზარალების რეზერვი

ზარალების რეზერვი, მთლიანი:

	2019	2018
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	4,686,125	6,997,980
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	263,075	187,891
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	4,949,200	7,185,871
წინა წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(2,414,140)	(3,854,909)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(842,954)	(1,829,111)
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯების შეფასება	15,374,392	16,470,651
მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება	(12,548,801)	(13,023,302)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	4,517,697	4,949,200
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	4,225,228	4,686,125
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	292,469	263,075

ზარალების რეზერვი, გადამზღვევლის წილი:

	2019	2018
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	131,807	-
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	23,677	-
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	155,484	-
წინა წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(37,597)	-
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(75,926)	-
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯების შეფასება	1,418,689	551,441
მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება	(1,017,698)	(395,957)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	442,952	155,484
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	419,275	131,807
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	23,677	23,677

ზარალების რეზერვი, წმინდა

	2019	2018
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	4,554,318	6,997,980
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	239,398	187,891
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	4,793,716	7,185,871
წინა წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(2,376,543)	(3,854,909)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(767,028)	(1,829,111)
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯების შეფასება	13,955,703	15,919,210
მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება	(11,531,103)	(12,627,345)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	4,074,745	4,793,716
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	3,805,953	4,554,318
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	268,792	239,398

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

14. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები – ძირითადი პირობები და დაშვებები

სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების, უბედური შემთხვევის, ტვირთების, სამოგზაურო, კრიტიკული დაავადებების და მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები ძირითადად 12-თვიანია.

სადაზღვევო კონტრაქტებისთვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

რეზერვების ხელახალი შეფასება ხდება რეგულარულად, ზარალების მოხდენის ტენდენციის, ასევე მათი დაფარვის გათვალისწინებით. სადაზღვევო ზარალების რეზერვების თანხის დისკონტირება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში არ ხდება.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშების შესახებ, ვალდებულებათა ადეკვატურობის ტესტის ჩათვლით, ინფორმაცია მოცემულია 26-ე განმარტებით შენიშვნაში (ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა, სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები).

15. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	9,313,149	6,124,551
მოთხოვნები რეგრესებიდან	1,108,850	1,071,137
გადაზღვევის მოთხოვნები*	2,281,906	713,138
სხვა	3,844	3,677
	12,707,749	7,912,503
გაუფასურების რეზერვი სადაზღვევო მოთხოვნებზე	(499,553)	(570,703)
გაუფასურების რეზერვი რეგრესებზე	(1,083,539)	(1,047,179)
	11,124,657	6,294,621

*გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს დარეგულირებულ სადაზღვევო ზარალებში გადამზღვევლის მონაწილეობას და საკომისიო მოთხოვნას. გადაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული მოთხოვნები ჩათვლას ექვემდებარე გადაზღვევის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებთან, გადამზღვევლის დასტურის საფუძველზე. 2019 წლის ბოლოსთვის ჩასათვლიელად ვადადამდგარი მოთხოვნა ჯგუფმა შეაფასა 1.9 მლნ. ლარით, რომელიც არ არის წმინდა საფუძველზე წარდგენილი შესაბამის ვალდებულებებთან, რადგან მას გადამზღვევლისგან დასტური არ მიუღია. ჯგუფის მიერ გადამზღვეველთან რეპორტირება ხორცილდება კვარტალურად.

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოქმნილი მოთხოვნების რეალური ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ჯგუფი ვადადამდგარ მოთხოვნებზე ქმნის საექვო ვალების რეზერვს. მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში. საექვო ვალების რეზერვის რეკონსილაცია მოცემულია მე-9 განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ინფორმაცია დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

16. სხვა აქტივები

სხვა აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
ტენდერში მონაწილეობისთვის გადახდილი თანხები	272,428	12,676
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(208,656)	-
	63,772	12,676
არაფინანსური აქტივები		
დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წინასწარ გადახდილი თანხები	119,211	117,994
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	360,843	243,350
სხვა მიმდინარე აქტივები	10,971	10,018
	491,025	371,362
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(121,191)	(111,877)
	369,834	259,485
	433,606	272,161

სხვა აქტივების საექვო ვალების რეზერვის რეკონსილაცია მოცემულია მე-9 განმარტებით შენიშვნაში.

17. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2019	31.12.2018
ძირითადი თანხა	11,356,265	10,448,509
პროცენტი	54,382	74,788
	11,410,647	10,523,297

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების რეალური ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2019	31.12.2018
ფული ბანკში (ლარი)	1,647,961	2,830,531
ფული ბანკში (უცხოური ვალუტა)	676,248	583,181
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	63,110	68,015
	2,387,319	3,481,727

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

19. სხვა სადაზღვევო ვალდებულება

სხვა სადაზღვევო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
გადამზღვევლის მიმართ ვალდებულება (შენიშვნა 15)	3,168,355	1,189,845
აგენტის და ბროკერის მომსახურების ვალდებულება	98,899	90,067
	3,267,254	1,279,912

სხვა სადაზღვევო ვალდებულებების რეალური ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია სხვა სადაზღვევო ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

20. გადავადებული საკომისო შემოსავალი

გადავადებული საკომისიო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
1 იანვრი	95,328	26,700
გადავადებას დაქვემდებარებული საკომისიო შემოსავალი (შენიშვნა 6)	431,887	256,433
ამორტიზაცია	(396,232)	(187,805)
31 დეკემბერი	130,983	95,328

21. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები		
იჯარა	-	44,100
სახელფასო ვალდებულებები	15,919	23,205
სადაზღვევო ვალდებულებები	-	4,690
სხვა	50,795	54,314
	66,714	126,309

სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოზიდული პრემია	2,483,049	-	21,200,045
მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯები	(34,500)	-	(3,883,913)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	(84,968)	-	727,071
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	-	(209,400)	(3,883,913)

2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოზიდული პრემია	2,020,127	-	19,468,238
მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯები	(237,340)	-	(3,918,378)
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	-	(201,243)	(3,918,378)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
საიჯარო ვალდებულებები	687,421	687,421
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,482,573	11,124,657

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
სხვა ვალდებულებები	59,364	126,309
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	370,582	10,132,235
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,146,185	6,294,621

დაკავშირებული მხარეები წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობას სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეგულაციები - 2017 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებით „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს:

ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200,000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;

ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: - 4,800,000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;

გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: - 7,200,000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;

დ) გადაზღვევა: - 7,200,000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ჯგუფს აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, ჯგუფს არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აქედან გამომდინარე, კორონავირუსის ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას ფას - ების შესაბამისად. კორონავირუსის გავრცელებას ვერ ექნება გავლენა პროგნოზებსა და დაშვებებზე, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება.

კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხოს. კორონავირუსმა შესაძლოა გავლენა იქონიოს თითქმის ყველა სექტორში მოღვაწე საწარმოზე შემდგომი ზემოქმედების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია. თუმცა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ვირუსის შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს შემდეგი:

- სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული სადაზღვევო პრემიის და გამომუშავებული პრემიის შემცირება;
- სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურების ზრდა კონტრაგენტების გადახდისუნარიანობის გაუარესების გამო;
- სამედიცინო ზარალების ზრდა, რადგან ლარის კურსის დევალვაციიდან გამომდინარე, გაიზრდება სამედიცინო მომსახურების ღირებულება იმპორტირებულ და ადგილობრივად ნაწარმოებ სახარჯ მარაგებზე ფასების ზრდის გამო. არასამედიცინო ზარალების კუთხით ჯგუფი არ ელოდება მნიშვნელოვან ნეგატიურ ცვლილებებს;
- გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს აქტივის გამოყენებიდან მოსალოდნელი მომავალი წმინდა ფულადი ნაკადების და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შემცირებით;
- გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის გაუფასურება, რადგან შესაძლოა მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში ჯგუფს არ ჰქონდეს საკმარისი დასაბეგრი მოგება.

25. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესაძარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. აღნიშნული სახით სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად, მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. ჯგუფს არ აქვს საიჯარო საქმიანობა, როგორც მემკვიდრე.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;

ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება.

როგორც მოიჯარე, ჯგუფი ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, ჯგუფი უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

კლასიფიკაცია ბასს 17-ით	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულებები
საოპერაციო იჯარა	ოფისის იჯარისთვის: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებით და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრულ სასესხო განაკვეთად აღებულია წლიური 11.75%.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

25. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის მუხლები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

		31 დეკემბერი 2018		
		თავდაპირველად წარდგენილი	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები				
აქტივების გამოყენების უფლება	(ა)	-	764,153	764,153
სხვა აქტივები (გადახდილი ავანსები)	(ბ)	44,100	(44,100)	-
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულები	(გ)	-	808,253	808,253

ა) აქტივის გამოყენების უფლება გაიზარდა წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებებიდან 764,153 ლარით.

ბ) წინა პერიოდში საოპერაციო იჯარაზე გადახდილი ავანსებით აქტივების გამოყენების უფლების შესწორება ჯამური თანხით 44,100 ლარი.

(გ) ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს თანხების შეჯერებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებიდან ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებამდე.

	01.01.2019
მინიმალური საიჯარო გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,094,526
გამოკლებული: მოკლევადიანი იჯარების ეფექტი	(21,426)
დაუდისკონტირებელი საიჯარო გადასახდელები	1,073,100
გამოკლებული: დისკონტის ეფექტი	(308,947)
საიჯარო ვალდებულება ბასს 17 მიხედვით საოპერაციო იჯარიდან	764,153
გამოკლებული: წინასწარ გადახდები ბასს 17 მიხედვით საოპერაციო იჯარიდან	44,100
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	808,253

ჯგუფმა შეაფასა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებაზე, თუმცა სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა, შესაბამისად, ჯგუფს არ გაუკეთებია ნაშთის კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

სს „პსპ დაზღვევა“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

26.1 შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2019	31.12.2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701

26.2 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია

ჯგუფი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

26.3 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს ჯგუფი ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის ჯგუფი იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებებს. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

26.4 მოზიდვის გადავადებული ხარჯები

საკომისიო და მოზიდვის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კლასიფიცირდება, როგორც არამატერიალური აქტივები. ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მოზიდვის გადავადებული ხარჯების ამორტიზება ხდება კონტრაქტის ვადის განმავლობაში სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად;

მოსალოდნელი მოგების მარჯა დამოკიდებულია წარსულ გამოცდილებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე, რომელთა გადახედვა და გაანალიზებაც ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში.

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

26.5 გადაზღვევის კონტრაქტები

სხვა მზღვევლთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი ჯგუფს უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვეო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც ჯგუფს წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლევადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს.

26.6 სადაზღვეო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

თუ არსებობს სადაზღვეო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს სადაზღვეო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვეო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

(i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვეო კონტრაქტი ჯგუფს უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). ჯგუფს ასევე შეიძლება ჰქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვეო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვეო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვეო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვეო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

26.7 სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ ჯგუფს ჯერ არ დაურეგულირებია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის ფორმირებას ჯგუფი ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელობის თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის ოდენობა აისახება ჯგუფის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა მოხდა ჯგუფის წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი რეზერვების ოდენობა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება, როგორც ვალდებულება.

26.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შემენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებაში სესხების და მოთხოვნების კატეგორია წარმოდგენილია დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნებით, გადაზღვევის აქტივებით (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლის წილისა), სხვა ფინანსური აქტივებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (იი) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

- (ა) რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) რომლებსაც ჯგუფი განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და
- (გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

ფინანსურ ანგარიშგებაში დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოდგენილია საბანკო საწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. ჯგუფის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) *რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- (i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- (ii) თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) *სხვა ფინანსური ვალდებულებები*

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა), სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

26.9 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

26.10 იჯარები

ჯგუფი გადავიდა ფასს 16-ზე 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე, გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 25. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულებას არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;
- კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

26. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

26.11 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

26.12 სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

26.13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ განმარტებით შენიშვნებში.



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „პსპ დაზღვევა“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.....	3
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	4
საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	4
კომპანიის კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები	6
კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები	8
კომპანიის შიდა სტრუქტურა.....	10
კომპანიის ფილიალები და მომსახურების მიწოდების განვითარება	11
ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ	11
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	12
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	12
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	12
რისკები და შემაფერხებელი გარემოებები.....	13

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს „პსპ დაზღვევის“ ჯგუფის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება სს „პსპ დაზღვევის“ ჯგუფის (შემდგომში, ჯგუფი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 15 აპრილს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

24 სექტემბერი 2020

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს „პსპ დაზღვევის“ ჯგუფის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება სს „პსპ დაზღვევის“ ჯგუფის (შემდგომში, ჯგუფი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 15 აპრილს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

24 სექტემბერი 2020

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

სს „პსპ დაზღვევა“ დაფუძნდა 2007 წელს საიდენტიფიკაციო კოდი (204545572). სადაზღვევო კომპანია არის სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას დაზღვევის სხვადასხვა მიმართულება/საქმიანობაში, გარდა გადაზღვევის საქმიანობისა. 2015 წლის 18 დეკემბერს დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შპს „პსპ დაზღვევა“-მ შეცვალა სამართლებრივი ფორმა და გახდა სს „პსპ დაზღვევა“. 2012 წელს სს „პსპ დაზღვევა“-მ დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს „ნიუ კლინიკა“, რომლის მიზანს წარმოადგენს სადაზღვევო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისათვის საოჯახო მედიცინის მომსახურების მიწოდება ქვეყნის მასშტაბით, ოჯახის ექიმების მეშვეობით.

სს „პსპ დაზღვევა“ მზარდი, განვითარებაზე და ინოვაციებზე ორიენტირებული სადაზღვევო კომპანიაა. კომპანიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინდივიდუალურ საჭიროებაზე ორიენტირებული სადაზღვევო პროდუქტების შექმნა და მიწოდება. სწორედ ეს არის პსპ დაზღვევასთან მრავალწლიანი თანამშრომლობის განმაპირობებელი ფაქტორი. უნდა აღინიშნოს, რომ პსპ დაზღვევამ კორპორატიული ხედვა, მისია და ღირებულებების გადასინჯვა განახორციელა 2017 წელს და აღნიშნულზე დაყრდნობით საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან პროექტებს. 2017 წლიდან მოყოლებული კომპანია უზრუნველყოფს დაგეგმილი პროექტების და სერვისების განვითარებას, ხოლო 2019 წლის განმავლობაში რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა.

2019 წელს კომპანიის მიერ კიდევ ერთხელ განახლდა კორპორატიული დაზღვევის პირობები და სადაზღვევო ანაზღაურების პირობები (სადაზღვევო ანაზღაურების სქემა, დაფარვები, ლიმიტები) რაც დაფუძნებულია მომხმარებლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და სადაზღვევო მომსახურების გაუმჯობესებაზე. კომპანია კვლავ ერთგულია იმ სტრატეგიის, რომ სადაზღვევო ურთიერთობები ეფუძნებოდეს გრძელვადიანი თანამშრომლობის მიდგომებს, სწორედ ამიტომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქტების გამრავალფეროვნება, სადაზღვევო რისკების მართვის სტანდარტების გაუმჯობესება არის პრიორიტეტი სადაზღვევო კომპანიის მენეჯმენტისთვის.

კომპანიის სტრატეგია და ხედვა კვლავ ეფუძნება კორპორატიული პორტფელის გაზრდას, შესაბამისად შეიცვალა კორპორატიული გაყიდვების სისტემა და სტრატეგია.

2018 წელს განხორციელებულმა ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა პროექტებმა კიდევ უფრო გაამყარა კორპორატიული დაზღვევის პორტფელის სტაბილურობა და რეტენციის/განახლებების მაჩვენებელი. კომპანიის კონკურენტული უპირატესობა გაუმჯობესდა ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების მხარდაჭერით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩნდება ახალი მოთხოვნები და საჭიროებები, რომელსაც ესაჭიროება ტექნოლოგიური დახვეწა და მუდმივი განახლება. კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი განახლებები განახორციელა პროგრამული უზრუნველყოფის და ტექნოლოგიური განვითარების კუთხით, კერძოდ გამოცდილების და მომხმარებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით დაზღვევის პორტალს დაემატა სხვადასხვა ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებელზე ორიენტირების მიმართულებით ვითარდება.

ტექნოლოგიური ინოვაციების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პსპ დაზღვევასა და კომპანია „მაი დოკთან“ ჩამოყალიბებული თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას დაზღვევის პორტალთან. კერძოდ, პსპ დაზღვევის მიერ განხორციელდა დაზღვევის ინდუსტრიაში ხელოვნური ინტელექტის სისტემის ინტეგრაცია, რომელიც სამედიცინო სადაზღვევო შემთხვევების რეგულირების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

სს „პსპ დაზღვევის“ ორიენტირება გამოხატულია ადამიანური რესურსების პოლიტიკის ჭრილში, კერძოდ, კვალიფიციური კადრების მოზიდვით და არსებული კადრების უწყვეტი პროფესიული განათლება/განვითარებით. კომპანიის კონკურენტუნარიანობის მიზეზად ასევე შესაძლებელია განხილულ იქნას კვალიფიციური და მოტივირებული გუნდი, რომელთაც გააჩნიათ კორპორატიული კულტურის და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი. ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ ჩატარდა კვალიფიკაციის და უნარების ამაღლების ტრენინგები. საშუალო რგოლის მენეჯმენტმა გაიარა ტრენინგთა კურსები, იმისათვის რომ

გადამზადების მოდულებით მიღებული ცოდნა უკეთესად იყოს ინსტიტუციონალიზებული და საშუალო რგოლის მენეჯმენტის მიერ მუდმივად ხდებოდეს პროცესზე დაკვირვება და მონიტორინგი.

ადამიანური რესურსების განვითარება და კორპორატიული მართვის განვითარება შეუძლებელია განხორციელდეს დასაქმებულთა მოტივაციის და კარიერული ზრდის ხელშეწყობის გარეშე. პსპ დაზღვევის მენეჯმენტის მთავარი პრინციპია მისცეს თითოეულ თანამშრომელს თვითრეალიზების შესაძლებლობა. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია დასაქმებულთა კარიერული ზრდის და კომპეტენციების გაძლიერების სტატისტიკა. 2017 წლიდან 2019 წლის ჩათვლით კომპანიაში დასაქმებულ 23 პირზე განხორციელდა კარიერული პრომოცია და შეეცვალა სამუშაო აღწერილობა კომპეტენციის გაზრდიდან გამომდინარე. შესაბამისად დასაქმებულთა 32% არის პრომოცირებული გამოვლენილი კომპეტენციის და შემენილი უნარების გათვალისწინებით.

პარტნიორებთან მრავალწლიანი და უწყვეტი თანამშრომლობა, ლოიალობის მოპოვება, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კომპანიის მისია, მიზანი და ხედვა არის სადაზღვევო პროდუქტების განვითარება, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის სტანდარტის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მიღწევა ხორციელდება პროცესის მუდმივი მონიტორინგით, ხარისხის და კმაყოფილების კვლევების უზრუნველყოფით და მოსარგებლებთან ფუნქციური უკუკავშირის მექანიზმებით.

წლების განმავლობაში სს „პსპ დაზღვევა“ ვითარდება, ამრავალფეროვნებს სადაზღვევო მომსახურების პროდუქტებს, დაფარვებს და მომსახურების მიწოდების სტანდარტებს. თანამედროვე ეპოქაში სოციალური მედია, ინტერნეტ სივრცე არის უნიკალური შესაძლებლობა სწორად და მიზნობრივად განხორციელდეს პარტნიორებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. შესაბამისად, 2019 წელს საფუძველი ჩაეყარა კომპანიის ვებ გვერდის სრულიად ახალი კონცეპციით შექმნას, რომლის სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია და 2020 წლისათვის იგეგმება სრულიად ახალი ვებ გვერდის გაშვება, რომელიც ნებისმიერ დაზღვეულს ან/და დაზღვევით დაინტერესებულს პირს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია არა მხოლოდ პსპ დაზღვევის შესახებ, არამედ ზოგადად, დაზღვევის ინდუსტრიის და რისკების მართვის დადებითი მხარეების თაობაზე. ახალი ვებ გვერდის კონცეფცია ეფუძნება საგანმანათლებლო პრინციპების შემოტანას დაზღვევის ბიზნესში, იმისათვის რომ ეკონომიკის ეს მნიშვნელოვანი სეგმენტი იყოს მეტად პოპულარიზებული.

გამომდინარე იქედან, რომ დაზღვევის ბიზნესის ზრდის დინამიკა არცთუ სახარბიელოა და ხშირია შემთხვევები, როდესაც საშუალო და დიდი ზომის ორგანიზაციები ნაკლებად ინტერესდებიან რისკების მართვის სისტემებით, კომპანიის მიერ 2019 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სადაზღვევო ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის. 2019 წელს ჩამოყალიბდა პსპ დაზღვევის და HR Hub-ის სტრატეგიული თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ადამიანური რესურსების სპეციალისტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას. 2019 წელს პსპ დაზღვევა გახდა HR სამიტის გენერალური სპონსორი და წარმდგენი და 2019 წლის განმავლობაში ასევე ყოველთვიური ღონისძიებების სპონსორი იყო. წინამდებარე თანამშრომლობის ფარგლებში პსპ დაზღვევასა და 500-ზე მეტი კომპანიის HR სპეციალისტებს შორის ჩამოყალიბდა თანამშრომლობა, რომლის მთავარი მიზანია ადამიანური რესურსების სპეციალისტებმა სწორად ჩამოაყალიბონ დაზღვევის რისკების მართვის ხედვა და მოსაზრებები, ამასთან გაიღრმავონ სადაზღვევო ინდუსტრიასთან თანამშრომლობის ცოდნა და გამოცდილება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ თანამშრომლობის მიზანია ახალი სადაზღვევო პროდუქტების პოპულარიზაცია და შესაბამისი სამიზნე კონტიგენტისათვის წარდგენა ბიზნესის შემდეგომი განვითარებისათვის.

კომპანიის კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

დაფუძნების დღიდან სს „პსპ დაზღვევა“ გააჩნია 500-ზე კომპანიის მომსახურების გამოცდილება და 325,000-ზე მეტი მოსარგებლისათვის სადაზღვევო მომსახურების მიწოდების პრაქტიკა. კომპანია წარმატებით ახორციელებს, როგორც კორპორატიულ სადაზღვევო მომსახურებებს, ასევე გააჩნია დიდი გამოცდილება მსხვილ სახელმწიფო შესყიდვებში/ტენდერებში.

2018 წელს სს „პსპ დაზღვევა“-მ დაიწყო საცალო სადაზღვევო პროდუქტების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. ჩამოყალიბდა საცალო პროდუქტების გაყიდვის სამსახური, რომელიც პირველ ეტაპზე კონცენტრირდა და ორიენტირდა არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებზე. აღსანიშნავია, რომ საცალო გაყიდვების მიმართულებით საკმაოდ ბევრი გამოწვევა დაფიქსირდა, რომელიც ბუნებრივია ოპერაციული მენეჯმენტის რეაგირებას და ეფექტურ უკუკავშირის საჭიროებს.

2019 წელი პროდუქტიული იყო ახალი პროდუქტების განვითარების და ბაზარზე გამოტანის მიზნით. პსპ დაზღვევამ წარადგინა კომბინირებული სადაზღვევო პოლისი, რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის, ქონების და სამოგზაურო რისკების მართვას ერთი პოლისის ფარგლებში. „Travel+“ ეს არის ახალი პროდუქტი, რომელიც წარდგენილი იყო ბაზარზე 2019 წელს და რომლის ანალოგიც ჯერ არ არის წარმოდგენილი. A+ რეიტინგის მქონე პარტნიორებთან და საერთაშორისო გადაზღვევლებთან ჩამოყალიბდა სტრატეგიული და გრძელვადიანი თანამშრომლობა კრიტიკული დაზღვევის პროდუქტის პრომოციის და პოპულარიზების მიზნით. პსპ დაზღვევამ შეიმუშავა და ბაზარზე წარადგინა კიდევ ერთი საცალო დაზღვევის პოლისი, რომელიც გულისხმობს ბაზისური სამი კრიტიკული დაავადებების რისკების მართვას.


სადაზღვევო ბიზნესის მომგებიანობა შედარებით დაბალია სხვა ინდუსტრიებთან მიმართებაში. ამასთან, მთლიანი სადაზღვევო ინდუსტრიის წმინდა მოგება კონცენტრირებულია რამდენიმე მსხვილ და ისტორიულად მრავალწლიანი სადაზღვევო საქმიანობის გამოცდილების მქონე კომპანიებში. სადაზღვევო ბაზარზე პოზიციონირების თვალსაზრისით სს „პსპ დაზღვევა“ მოზიდული პრემიის მაჩვენებლით 2017 წელს მოწინავე პოზიციებზე იყო, ხოლო კონკრეტულად ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში პირველ სამეულში შედიოდა. 2018 წლიდან ამ მაჩვენებლით პოზიციონირება იცვლება კომპანიის სტრატეგიის და ხედვის ცვლილების გამო, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით. ამასთან, აღინიშნება გამოკვეთილად პოზიტიური დინამიკა კორპორატიული და საცალო სეგმენტიდან მოზიდული პრემიების ზრდაში, რაც 2018 წელს წინა წელთან შედარებით 57%-ს, ხოლო 2019 წელს 49%-ს შეადგენს. შედეგად, თუ კი 2017 წელს კომპანიის მთლიან მოზიდვებში კორპორატიული და საცალო სეგმენტიდან მოზიდული პრემიის წილი 22%-ს შეადგენდა, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 55%, ხოლო 2019-ში - 75% გახდა. (წყარო: <http://insurance.gov.ge>).

2017 და 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული იყო სტატისტიკა და დაკვირვება დაზღვეულთა რაოდენობის, მოზიდული პრემიების და ანაზღაურებული ზარალების შესახებ. ანგარიშგებაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული კომპანიის ხედვა მზარდი განვითარების ტენდენციასთან დაკავშირებით, თუმცა მეორეს მხრივ, აღნიშნულის უზრუნველყოფა სტაბილურობის და ზარალიანობის გონივრული მაჩვენებლების უზრუნველყოფის გზით უნდა განხორციელდეს. 2017 წლის ანგარიშგებაში დაფიქსირებული მოზიდული პრემიისა და ანაზღაურებული ზარალების უარყოფითი მაჩვენებელი თვალსაჩინოს ხდიდა და მიუთითებდა კომპანიის სტრატეგიის აუცილებელ ცვლილებაზე და რისკების მართვის პოლიტიკის ცვლილებაზე. როგორც უკვე აღინიშნა რისკების მართვის გადახედვით ვფიქრობთ 2018 წელს კომპანიამ პირველი ნაბიჯები გადადგა რისკების მართვის ეფექტური ინსტრუმენტების და გადაწყვეტილებების მიღების სტანდარტების ცვლილებით. აღნიშნული ცვლილებების პოზიტიური ეფექტი არის ასახული 2019 წლის შედეგებშიც. ვფიქრობთ არსებული ტენდენცია გაგრძელდება 2020-შიც მიუხედავად, ახალი და მოულოდნელი გამოწვევებისა რის პირისპირაც დადგა საქართველო და მსოფლიო მიმდინარე წელს.


2017 წელს გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით დაზღვევის პორტფელის და რისკების ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა. ამასთან, სადაზღვევო პროდუქტების გამრავალფეროვნება და გაყიდვების სტრატეგიის ცვლილება შეუძლებელია რისკების

გადაზღვევის სისტემის არქონის შემთხვევაში. შესაბამისად, 2018 და 2019 წლების არასიცოცხლის დაზღვევის პორტფელის ანალიზი ადასტურებს გადაზღვევის ხელშეკრულებების მნიშვნელობას, საჭიროებას და ეფექტურობას. რისკების გადაზღვევა არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულების უარყოფითი მაჩვენებლების გამოსწორების რაციონალური საშუალებაა, მაგრამ ამავედროულად ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადეკვატურად მუშაობს რისკების შეფასების და ანტისელექციის მექანიზმი, რომელიც შესაბამისი კომპეტენციის სტრუქტურული ერთეულების მიერ მართულია.

სურათი 1. ანაზღაურებული ზარალების ანალიზი (კონსოლიდირებული მონაცემი)



სურათი 2. მოზიდული პრემიის ანალიზი (კონსოლიდირებული მონაცემი)



სადაზღვევო პორტფელის ცვლილების პარალელურად იცვლება შპს „ნიუ კლინიკის“ სამტატო განრიგი და დასაქმებულ პირთა ოდენობა. 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით ნიუ კლინიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 150. აქედან, 139 თანამშრომელი საოჯახო მედიცინის სერვისის მიმწოდებელია (108 ოჯახის ექიმი და 31 ასისტენტი), ხოლო 11 ადმინისტრაციული პერსონალი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დაზღვეულთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილებისა სს „პსპ დაზღვევის“ და შპს „ნიუ კლინიკის“ მიერ ერთობლივად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მნიშვნელოვნად არ შემცირდეს საოჯახო მედიცინის სერვისების მიმწოდებელი ერთეულები და საკადრო რიცხოვნული მაჩვენებელი. აღნიშნულის მიზეზი გახლავთ ხარისხზე ორიენტირებულობა და გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების მნიშვნელობა.

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

2019 წელს დასრულდა დაგეგმილი პროექტების განხორციელება, რომელიც დაიგეგმა და განისაზღვრა სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. საჭიროებების განსაზღვრის სისტემა ეფუძნება რამდენიმე მნიშვნელოვან კრიტერიუმს:

- ბაზრის მოთხოვნები
- კონკურენტული გარემოს ანალიზი
- კომპანიის სტრატეგიული ხედვა
- მომხმარებლების ინდივიდუალური საჭიროებები
- კომპანიის შიდა ხარისხის და კმაყოფილების კვლევის შედეგები.

2019 წელს განხორციელდა დაგეგმილი პროექტების თანმიმდევრული და ეტაპობრივი დანერგვა, ამავდროულად ხორციელდება უკვე განხორციელებული პროექტების ეფექტურობის ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე არსებული პროექტების კორექტირება:

- ონლაინ ანაზღაურება - იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა დროულობის და ეფექტურობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე;
- მიმართვების და საგარანტიო დოკუმენტაციის გაცემა ექიმის მიერ სატელეფონო კონსულტაციის საფუძველზე - იზრდება იმ მომხმარებელთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ გამოცდილება აღნიშნული სერვისებით სარგებობის. ამავდროულად აღნიშნული სერვისი არის ხარჯთეფექტური ადმინისტრაციული ხარჯების მართვის კუთხით;
- სერვის ცენტრში ვიზიტის დაგეგმვა - იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა, ვინც სარგებლობს აღნიშნული მომსახურებით, რამდენადაც მცირდება როგორც კომპანიის ასევე მომხმარებლების არასაჭირო დროითი რესურსების გაფლანგვის ტვირთი;
- ელექტრონული საგარანტიო მიმართვები პროვაიდერ კლინიკებში - იზრდება მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობა, რამდენადაც იზრდება მნიშვნელოვანი სამი პირობა: დაზღვეულის დრო, მატერიალური ხარჯები, მზღვეველის ადმინისტრაციული ხარჯები;
- ქრონიკული მედიკამენტების გაცემა ექიმის სატელეფონო კონსულტაციის საფუძველზე - მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა ვითარდება ელექტრონული სამედიცინო დოკუმენტწარმოების მიმართულებით და სწორედ ამ ერთი კონკრეტული კომპონენტის საშუალებით სადაზღვევო კომპანია ახორციელებს დაზღვეულისათვის საჭირო და აუცილებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას.

2019 წლის განმავლობაში პსპ დაზღვევა აგრძელებს სავალდებულო დაზღვევის, კერძოდ, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო დაზღვევის სახეობებში მონაწილეობას. აღნიშნული მიზნებისათვის განხორციელდა სადაზღვევო შემთხვევების რეგულირების მწყობრი სისტემა, რამდენადაც პსპ დაზღვევა არის ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ახორციელებს სადაზღვევო შემთხვევების რეგულირებას და მართვას.

კომპანია აქტიურად თანამშრომლობდა დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურთან, სადაზღვევო ასოციაციასთან და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან სავალდებულო დაზღვევის სხვა სახეობების განვითარების მიმართულებით, რომელთა ამოქმედება დაგეგმილი იყო მიმდინარე ან მომავალი წლის კალენდარულ პერიოდში.

2019 წელს გრძელდება მუშაობა ერთ-ერთ მსხვილ და მასშტაბურ პროექტზე “დაზღვევის პორტალი” www.online.ipsp.ge, ასევე, დასრულდა მუშაობა საცალო პროდუქტების ელექტრონული/ციფრული გაყიდვის არხზე www.myipsp.ge. ბუნებრივია, რომ პროექტების გაშვება არ ნიშნავს მიმდინარე და ახლად გამოვლენილი საჭიროებების ფარგლებში დახვეწას, ამდენად დაგეგმილია ამ პროექტებში სხვა დამატებითი ფუნქციონალების ჩაშენება, რაც დაზღვევის მომსახურების მიწოდების პროცესს გახდის უფრო კომფორტულს და ხარისხიანს.

დაზღვევის პორტალი არის სივრცე, რომლის საშუალებითაც დაზღვევით მოსარგებლე იღებს სრულყოფილ სადაზღვევო მომსახურებას პირადი კაბინეტის საშუალებით (სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება, ქრონიკული მედიკამენტების ანაზღაურება, სამედიცინო დოკუმენტაციაზე წვდომა, სადაზღვევო ლიმიტების და დაფარვების უწყვეტი/განახლებული სახით ხელმისაწვდომობა, საპრეტენზიო სამსახურთან და ქოლცენტრთან განსხვავებული პრაქტიკით კომუნიკაციის შესაძლებლობა და ა.შ), რაც უფრო კომფორტულს და მოქნილს გახდის სადაზღვევო მომსახურებებს.

მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის მიერ საინტერესო, ინოვაციური და მომხმარებელზე ორიენტირებული საცალო დაზღვევის პროდუქტების შემუშავება დაიწყო, რომლის გაშვება დაიგეგმა მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში. საცალო პროდუქტების გაყიდვის ეფექტური გზაა ელექტრონული სისტემები და სწორედ ამიტომ შეიქმნა ინტერნეტ სივრცე www.myipsp.ge, სადაც მომხმარებელი მარტივად და ბიუროკრატიის გარეშე იძენს მისთვის საინტერესო პროდუქტს. გარდა იმისა, რომ თანამედროვე სისტემები უზრუნველყოფს მომხმარებელზე ორიენტირებული სისტემების განვითარებას, აღსანიშნავია, რომ ეს პროცესების აუმჯობესებს და უფრო ეფექტურს ხდის კომპანიის ადმინისტრაციული რესურსების და ხარჯების გამოყენებას.

2019 წელს განახლდა გადაზღვევის ხელშეკრულება ავტო დაზღვევის მიმართულებით. კომპანიის პარტნიორები არიან საერთაშორისო მსხვილი A+ რეიტინგის/კლასის ტიპის გადამზღვეველი ორგანიზაციები. გაფორმდა გადაზღვევის ხელშეკრულება ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის რისკებზე. ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა შემდეგ გადამზღვეველებთან: Swiss Re, Hannover, Scor.

მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სადაზღვევო კომპანია შპს „ნიუ კლინიკის“ მეშვეობით უზრუნველყოფს საოჯახო მედიცინის მიწოდებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ოჯახის ექიმების ფართო ქსელი და სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობრივი მაჩვენებელი არის მნიშვნელოვანი პრინციპი კომპანიის მზარდი განვითარების. შპს „ნიუ კლინიკა“ ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს პსპ დაზღვევით მოსარგებლე პირებისათვის ოჯახის ექიმის მომსახურებას, რომელიც გულისხმობს, როგორც სამედიცინო სერვისების მიწოდებას, ასევე, სადაზღვევო შემთხვევების ეფექტურ მართვას.

მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო კომპანია ახორციელებს არა მხოლოდ სადაზღვევო მომსახურების ხარისხის კონტროლს, არამედ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ოჯახის ექიმების პროფესიული განვითარების და გადამზადების ინვესტირების კუთხით. 2019 წელს ჩატარდა ოჯახის ექიმების ტესტირება და შედეგად დადგინდა, რომ შპს „ნიუ კლინიკის“ ექიმებმა დააკმაყოფილეს საერთაშორისო სტანდარტები საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში. ამავდროულად განხორციელდა ექიმების ტრენინგი სტრესთან გამკლავების და მომხმარებელთან ურთიერთობის საკითხებზე.

შპს „ნიუ კლინიკის“ ამჟამინდელი მოქმედების/მუშაობის არეალი მხოლოდ პსპ დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების პრაქტიკაა. თუმცა, გამოცდილების გაზრდის პარალელურად შესაძლებელია განხილულ იქნას მისი საქმიანობის არეალის გაფართოება და ასევე, სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის ანალოგიური მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნული ორგანიზაციის შემოსავლის ერთადერთი წყაროა პსპ დაზღვევის მიერ სახელშეკრულებო პირობით განსაზღვრული კაპიტაციური ბიუჯეტი, რომელიც ცვლადია დაზღვეულთა რაოდენობის და სამოქმედო არეალის ცვლილების გათვალისწინებით.


კომპანიის შიდა სტრუქტურა

2018 წელს განხორციელდა კომპანიის ორგანიზაციული მოწყობის ცვლილება, რომელიც განპირობებული იყო როგორც საკანონდებლო მოთხოვნების ვალდებულებით, ასევე შიდა საოპერაციო ბიზნესების პროცედურების და ახლად იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული ცვლილებების შესახებ კომპანიამ ინფორმაცია გაშიფრა 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში.

ორგანიზაციული მოწყობის ცვლილების პარალელურად გადაიხედა სამსახურების, დეპარტამენტების და მასში შემავალი ადამიანური რესურსების სამუშაო აღწერილობები. განახლდა სამუშაო მეთოდოლოგია და პროტოკოლები, რომელთა მონიტორინგის და ინსპექტირების ფუნქცია დაეკისრა აუდიტის და ხარისხის მართვის დეპარტამენტს. კომპანიაში მოქმედი შიდა აუდიტის სამსახური საკანონდებლო მოთხოვნების დაცვით ახორციელებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შემოწმებას და შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებების მიღება.

კომპანიაში ფუნქციონირებს სადაზღვევო შემთხვევების მართვის კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებით, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებელი ექსპერტული და პრაქტიული უნარი/გამოცდილება სადაზღვევო შემთხვევების ეფექტური მართვის კუთხით. 2019 წლის განმავლობაში საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნული კომიტეტი ახორციელებდა სამუშაო შეხვედრებს, იღებდა გადაწყვეტილებებს, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდებოდა სხვადასხვა ქმედებების სტანდარტიზება.

კომპანიის მმართველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ სამეთვალყურეო საბჭო კომპეტენციის და დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში ახორციელებს კომპანიის მართვაში აქტიურ მონაწილეობას.



2019 წელს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ხარისხის კვლევები, რომელიც ეფუძნება მომსახურების ხარისხის გაზომვად კრიტერიუმებს: ა) მომსახურების ხარისხის კვლევას ე.წ. call back სისტემის გამოყენებით; ბ) მომსახურების ხარისხის კვლევას - შემთხვევითი შერჩევის მეთოდოლოგიით; გ) მისტიური მომხმარებლის კვლევის მეთოდს. მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება მოსარგებლეების გამოკითხვა ახალ სერვისებთან დაკავშირებით, ასევე ხორციელდება მათი წინადადებების და მოსაზრებების გაზიარება და ახალი მიდგომების იმპლემენტაცია.

კომპანიის ფილიალები და მომსახურების მიწოდების განვითარება

2019 წელს განხორციელდა ახალი სერვის ცენტრის მოწყობა და გახსნა, კერძოდ ბათუმში. კომპანიას რეგიონებში ფილიალები არ გააჩნია თუმცა რეგიონებში ხორციელდება მომსახურების მიწოდების უწყვეტი პროცესი საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. სწორედ რომ დაზღვევის პორტალი შეიძლება იყოს მიჩნეული შესაძლებლობად, რომელიც ინფრასტრუქტურული დანახარჯების გაწევის ნაცვლად ახორციელებს სრულფასოვან სადაზღვევო მომსახურებას. მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა იზრდება, მაგრამ ამავდროულად რჩებიან მომხმარებლები, ვისაც გააჩნით სურვილი სერვის ცენტრის მეშვეობით მომსახურების მიღების. ამდენად პსპ დაზღვევა ორი პრინციპის ბალანსირების ფარგლებში ახორციელებს ელექტრონული სერვისების განვითარებას, და ამავდროულად ფიზიკური ინფრასტრუქტურის ქსელის გაფართოებას.

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

სს „პსპ დაზღვევის“ 2019 წლის საქმიანობის შედეგების შემაჯამებელი კონსოლიდირებული შედეგი შემდეგია:

	2019	2018
სადაზღვევო შემოსავალი	17,012,293	17,983,539
საპროცენტო შემოსავალი	727,071	683,816
	17,739,364	18,667,355
წმინდა სადაზღვევო ზარალები	(13,082,074)	(14,007,923)
სხვა ხარჯები	(4,173,141)	(4,528,833)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	330,037	155,945
	814,186	286,544
მოგების გადასახადის სარგებელი	(27,523)	257,691
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	786,663	544,235

2019 წლის საქმიანობის შედეგების ამსახველი კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტები და შესადარისი მონაცემები შემდეგია:

	2019	2018
ზარალის კოეფიციენტი (წმინდა სადაზღვევო ზარალი/წმინდა მოზიდული პრემია)	67.96%	75.95%
ზარალის კოეფიციენტი (წმინდა სადაზღვევო ზარალი/სულ სადაზღვევო შემოსავალი)	76.90%	77.89%
EBITDA (მოგება დაბეგვრამდე+ცვეთა და ამორტიზაცია)/სულ შემოსავალი	5.44%	1.94%
EBIT (მოგება დაბეგვრამდე/სულ შემოსავალი+საპროცენტო შემოსავალი)	4.43%	2.92%
ROE (წლის მთლიანი სრული შემოსავალი/კაპიტალი)	7.21%	5.37%
საოპერაციო მოგების მარჟა(მოგება დაბეგვრამდე -საპროცენტო შემოსავალი-კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება)/წმინდა გამომუშავებული პრემია)	-1.43%	-3.08%

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2019 წლის განმავლობაში არ მომხდარა ინოვაციური ღონისძიებების დანერგვა, რომელიც ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარებას ან გაუმჯობესებას უკავშირდება.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის პსპ დაზღვევის ჯგუფის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და/ან გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკები და შემაფერხებელი გარემოებები

დაზღვევის ბაზარი ყოველწლიურად ვითარდება სერვისის მიწოდების, მომსახურების ახალი სტანდარტების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა მეორეს მხრივ, იზრდება კონკურენცია ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოსვლის გამო. სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებაში გამომდინარე იქიდან, რომ დაზღვეულთა რაოდენობა არ იზრდება სხვა ჯანდაცვითი პროგრამების არსებობის გამო, იზრდება კონკურენცია უკვე არსებულ დაზღვეულთა მოცულობაში. სამწუხაროდ აღსანიშნავია გარემოება, რომ მოთხოვნა გაუმჯობესებულ სადაზღვევო მომსახურებებზე და პირობებზე იზრდება, ხოლო კონკურენციის გამო დაზღვევის პრემიის ფასი კლებულობს. სიცოცხლის დაზღვევის განვითარების მიმართულებაში რისკად და შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება განისაზღვროს კონკურენციის მაღალი ხარისხი და დაზღვეულთა რაოდენობის ზრდის ძალიან მწირი/უმნიშვნელო დინამიკა.

მნიშვნელოვანია არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულების სხვა სავალდებულო დაზღვევის სახეობების შემოღება/გაფართოება, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების რისკების დაზღვევის/მართვის გარანტიებს აყალიბებს, ასევე, სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე მისი ძირითადი საოპერაციო რისკი არის სადაზღვევო რისკი. სადაზღვევო რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

სს „პსკ დაზღვევას“ მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო, დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი. სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

კომპანია რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით. კომპანია ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება. სადაზღვევო რისკების მართვის ინსტრუმენტად კომპანია 2017 წლიდან ასევე იყენებს გადაზღვევას. რისკების მართვის მიზნებისგან გამომდინარე გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება ხდება მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე კომპანიებთან.

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი საკრედიტო ისტორიების, სახეობების, ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. სადაზღვევო

მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის გავლენის შედეგები კომპანიის საქმიანობაზე განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის ბოლოს, მათ კორონა ვირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს. COVID-19 ის გავლენის შედეგები კომპანიის საქმიანობაზე განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში (შენიშვნა 24).

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ს. ლებანიძე

მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).


ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის გავლენის შედეგები კომპანიის საქმიანობაზე განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის ბოლოს, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს. COVID-19 ის გავლენის შედეგები კომპანიის საქმიანობაზე განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში (შენიშვნა 24).

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ს. ლეზანიძე